შაბათი 13 ივნისი 1915 წ.

სამშობლო

წ. I

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. დამატებით 7 კაპ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 103 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 103

„სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა"

ტელეფონი № 76.

ამიერიდან ქ. ქუთაისში გამოდის ახალი საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი
„სამშობლო"
ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

ტელეფონი № 76.

გაზეთი ღირს: ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი 7 კ. მისამართი: ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო".
ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები.
რედაქტორი ი. თ. ცინცაძე.

20 ამა ივნისს ხანგრძლივი ავათმყოფობის შემდეგ ქალ. ქუთაისში გარდაიცვალა

თ-დი მიხეილ დიმიტრის ძე ნიჟარაძე,

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა დანაცნობთ: ძე მისი მინა შვილებით, ასულნი: დესპინე მეძმარიაშვილისა შვილებით, ასინეთ ახვლედიანისა შვილებით, ძმა თავადი მელქისედეკ დიმიტრის ძე ნიჟარაძე და და, ქვრივი ნიფადორა დიმიტრის ასული მდივნისა და სიძე სოლომონ ალექსანდრეს ძე ახვლედიანი.

მიცვალებულის გასვენება დანიშნულია შაბათს, 13 ივნისს, ნაშუადღევის სამ საათზე, ორპირის ქუჩაზე, ალექსანდრე საყვარელიძის სახლიდან (ივანე მელიას სეული) დასაკრძალავათ საგვარეულო სასაფლაოზე, სოფელ ზედა მაღლაკში.

პანაშვიდი ყოველ დღე, საღამოობით. 2—2—464.

კვირას, 14 ივნისს, დილის 10 საათზე, ქალაქ ფოთში, სასაფლაოს წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაში გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი

ივლიტა ანტონ კოპეიშვილის ასულის
ღვინჯილიას

სულის მოსახსენებლათ,

რასაც ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, და ნაცნობ-მეგობრებს მეუღლე გიორგი სტეფანეს ძე ღვინჯილია შვილებითურთ, ძმა ემელიანე ანტონის ძე კოპეიშვილი, დედა ციცინო და გამზდელნი დიმიტრი და ბუჩუ ფანცულაიები.

1—1—466

მუშაობს ხრესილის მადნეული წყლის მძ. ჟორჟოლაძეების სამკურნალო

აბანო.

აბანო მდებარეობს მაღლობ ბუნებით შემკულ მთის ჰაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვადვარ ავათმყოფობას; ქარებს (რევმატიზმს) სხვადასხვაგვარ მუწუკს, საყმაწვილოებს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას (მალარიას), კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისივნეს და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თფილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი ექიმი, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის, არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა, და სასმელ საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. აბანო მდებარეობს სადგურ „სერნია ვოდში'' ხრესილში სადგურია მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სერნია ვოდის". ქუთაისიდგან მატარებელი გადის დილის შვიდის ნახევარზე, დაბრუნდება საღამობით. თ.

ქუთაისის ქალაქის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ ქალაქის საავათმყოფოში, საღორიის აგარაკში, გაიხსნა **სამშობიარო განყოფილება**, სადაც ყოველ დროს, დღითა და ღამით შეიძლება მიღებულ იქნენ მშობიარენი. 14-2—234.

ექიმი **ი. ჩარექოვი** ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ, საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალბეგოვის სახლში. (თ.)

ექიმი **რელიგიონი** დაბრუნდა და განაახლა ავათმყოფების (ქირურგიულ და ქალურ ავათმყოფთა) მიღება თავის ძველ ბინაზე. ავათმყოფების მიღება—დილის 12 საათიდან 2 სათამდი.

ექიმი **ი. ტ. მულინი** გადმოვიდა ქუთაისში თფილისის ქუჩაზე ჩიკვაიძის სახლებში. ღებულობს ყელისა, ცხვირისა და ყურებით ავათმყოფებს. დღით 2—3, საღ. 7—8. თ.

კბილის ექიმები
მენაღარიშვილი და ტრუფანოვა.
ბათომიდან გადმოვიდენ ქალ. ქუთაისში. თფილისის ქუჩა, სახლი ბახტაძისა, ფირალოვის თუთუნის ფაბრიკის გვერდში. ავათმყოფებს ღებულობენ დილის 8—2 და საღამოს 5—6. არჩენენ ავათმყოფობას კბილებისა და ღრძილებისას. აკეთებენ ხელოვნურ კბილებს: კაუჩუკზე, ოქროზე და ალუმინზე. ღრძილების ავათმყოფობას არჩენენ რამდენიმე სეანსზე ახალი საშუალებით. თ.

გაბრიელ იოსების ძე
ექიმი გოკიელის
ელექტრონისა და სინათლის
კაბინეტი. შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 9—8 საათ. ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი.

ქალაქის თეატრი.
ალ. იმედაშვილის წარმოდგენა
კვირას, 14 ივნისს 1915 წ. წარმოდგენილი იქნება **ოტელო** ტრაგედია 5 მ. 9 ს. ვ. შექსპირისა.
მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ-ნი მ. მდივანი, ნ. ჯავახიშვილისა, გ.ბ. ალ. იმედაშვილი, ვ. შალიკაშვილი, ა. ყალაბეგიშვილი, ი. ბარველი, ვ. სარელი, სანდალიძე, ა. გუგუშვილი და სხვ. დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე. ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილების გამგეობა

მოაგონებს განყოფილების წევრთ, რომ მდგომარე წლის 14 ივნისს დილის თერთმეტ საათზე შავი ქვის მრეწველთა კრების საბჭოს დარბაზში დანიშნულია განყოფილების წევრთა

საზოგადო კრება.

განსახილველი საგნები: 1) სამი უკანასკნელი წლის ანგარიშების განხილვა; 2) სარევიზიო კომისიის მოხსენება; 3) გამგეობის მოხსენება სხვა და სხვა საგნებზე; 4) 1915 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება; 5) გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევა იმათ მაგიერ, რომელთაც სამსახურის ვადა გაუვიდათ.

1915 წლის ანგარიშები თავის დროზე დარიგებული იყო. 1913 და 1914 წლების ანგარიში ბ.ბ. წევრთ შეუძლიათ მოიკითხონ შავი ქვის საბჭოში. 2—2

ანნა ლუარსაბის ასული ქავთარაძისა და ელისაბედ ლუარსაბის ასული მეძმარიაშვილი 1 ენკენისთვეს 1915 წ., გენერლის ქუჩაზე, ნიკოლოზ ზაალის ძის ბადრიძის სახლში ხსნიან

ქალ-ვაჟთა მოსამზადებელ **სკოლას.**
საბავშო ბაღით.

სამოსწავლო გადასახადი 10 მანეთი თვეში.
ბავშების მიღება დაიწყება 20 მარიამობისთვიდან.

დოქტორი მედიცინისა, პრივატ-დოცენტი **ვარლამ პავლეს ძე მოსეშვილი** 8 მაისიდგან მიიღებს ავათმყოფებს დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდის და ნაშუადღევის 5 საათიდგან საღამოს 8 საათამდის.
გოშპიტლის ქუჩა, მოსეშვილის სახლი, ხაზინის პირდაპირ № 6. თ.

ქუთაისის ქალთა საზოგადოების
წლიური კრება
შესდგება შაბათს, 13 ივნისს, ქიათურის საბჭოს დარბაზში (თეატრის პირდაპირ) საღამოს 8 საათზე.
3—1—460.

ბებია **მ. მ. კოხრეიძე** ურის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს.
ალექსანდროვის ქუჩა, სახლი თევდორაძისა, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

ომი

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან).

პარიზი. ოფიციალური. 11 ივნისი. არრასის ჩრდილოეთ მიდამოებში მთელი ღამის განმავლობაში ორივე მხრით ზარბაზნების სროლა იყო. გერმანელების კონტრ-იერიში ნევილის სასაფლაოსთან და ლაბირინტის მხრით მარჯვეთ მოვიგერიეთ. არგონის დასავლეთით ბინეარვილ ვენილეშატას მახლობლად ბრძოლა ხელით სასროლ ყუმბარებით მოხდა. დანარჩენ ადგილს არგორს ფრონტზე გერმანელებმა ურიცხვი ყუმბარები დახარჯეს, იერიში კი არ მოუტანიათ.

მაასის მარჯვენა ნაპირზე ჩვენ კვლავ დავიჭირეთ გერმანელების პოზიციის მეორე ხაზის ნაწილი; ლოტარინგიაში ჩვენ მოვიგერიეთ გერმანელების ახალი კონტიერიშები ლეინტრეს მახლობელ პოზიციებზე და შევინარჩუნეთ ყველა დაჭერილი ადგილები. ვოგეზებში ვაიდესანოს მიდამოებში ერთ ჩვენ სიმაგრისაკენ, რომელიც ფრონტიდან 300 მეტრზე მდგომარეობს, მტერმა რამდენიმე საათის განმავლობაში გამოისროლა 4,000 ყუმბარა და დაიკავა კიდეც. ამავე დროს იერიში მოიტანა მახლობელ თხრილებისაკენ, მაგრამ შეჩერებულ იქმნა.

ჩვენი ბრწყინვალე კონტრ-იერიშებით ჩვენ დავიბრუნეთ ყველა დაკარგული ადგილი და ტყვეთ წამოვიყვანეთ 142 ჯ. კ. მათ შორის სამი ოფიცერი. ფახტის მიდამოებში ჩვენ წინ წავიწიეთ.

პარიზი. ოფიციალური. 11 ივნისი. მიუხედავათ ძრიელი ბრძოლისა, ჩვენ ხელთ ვიგდეთ მრავალი ტყვე მათ, შორის 10 ოფიცერი. ჩვენმა ჯავშნოსანმა „სენლუიმ'' აზიის ნაპირებს მარჯვეთ აუტეხა სროლა. მარცხენა ფრთაზე ბრიტანიის ჯარმა დიდი დახმარება გაგვიწია; მტრის ზარალი დიდია, ჩვენ დავიჭირეთ კრევესდერის ხეობის შესავალი, რომელსაც ოსმალონი მთელი თვის განმავლობაში თავგანწირვით იცავდენ.

ბელგიის ახალშენების მინისტრს კონგოდან აუწყებენ, რომ ბელგიის რაზმმა დაიჭირა გერმანიის დასავლეთ აფრიკის ახალშენებიო.

პარიზი. ოფიციალური 11 ივნისი. ბერრიობაკის მიდამოებში ჩვენ ავაფეთქეთ ნაღმები, რომლითაც გერმანელების თხრილები დიდათ დავაზიანეთ. შამპანში ბო-სეჟური''-ს ფრონტზე ძლიერი საარტილერიო ბრძოლაა.

მაასის მარჯვენა ნაპირზე მტერმა სასტიკი კონტრიერიში მოიტანა და მეორე ხაზზე წინათ დაკარგული თხრილები დაიბრუნა. ლოტარინგიის დასავლეთით ლენკერთან ჩვენ ორი სიმაგრე ავიღეთ და რამოდენიმე ჯარის კაცი, (მათ შორის სამი ოფიცერი) ტყვეთ წამოვიყვანეთ გუშინ ჩვენმა საექსპედიციო კორპუსმა გალლიპოლის კუნძულზე ოსმალეთის ფრონტზე იერიში მიიტანა, მარცხენა ფრთამ-კი ერთი დაკვრით აიღო ორი ხაზი ოსმალების თხრილებისა და შეინარჩუნა იგი, მიუხედავათ ძლიერი კონტრ-იერიშებისა.

მარჯვენა ფრონტის ადგილები მოქმედებას უფრო აძნელებენ. ბრძოლა მთელ დღის განმავლობაში გრძელდება, მაშველი ჯარის თან და თან მომატებით მტერმა საღამოს თავის თხრილები უკანვე დაიბრუნა, მაგრამ უცხოელთა ლეგიონის და ზუავთა ბატალიონმა ხელჩართული ბრძოლით უკანვე დაიბრუნა ზემო აღნიშნული პოზიციები..

კავკასიის ჯარის შტაბისაგან.

პეტროგრადი. ოფიცილური 11 ივნისი ზღვის პირათ ჩვეულებრივი. სროლაა ოლთისის მხრით კალაჯიკის მთაზე ოსმალების იერიში მოვიგერიეთ დანარჩენ ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა.

(შემდეგი იქნება).

პოლიტიკური პარტიები გერმანიაში.

ალორძინება და განვითარება პოლიტიკურ პარტიებისა გერმანიაში.

ცენტრი.

„ცენტრი" წარმოიშვა პრუსსიის ლანდტაგის კათოლიკეთა ფრაქციიდან და გერმანიაში ერთს უძლიერეს პარტიათ ითვლება.

თავისი შედგენილობით, ხასიათითა და მიზნით ის არის ერთი რაღაც თავისებური პოლიტიკური პარტია.

1870 წ., როდესაც ეს პარტია პირველათ გამოვიდა, თავის მახლობელ მიზნათ „ქრისტეს მოადგილეს ტყვეობიდან განთავისუფლება" აღიარა, ე. ი. რომის პაპისათვის სამოქალაქო უფლების დაბრუნება მოითხოვა.

„ცენტრი" წარმოადგენს გერმანულ კათოლიკეთა პარტიას და ემსახურება რომის ეკლესიის ინტერესების დაცვას. მან შეაერთა ყველა კათოლიკე თავისი ინტერესების დასაცავათ და გერმანიის პროტესტანტების უმრავლესობიდან თავდასაცავათ.

ეს პარტია შესდგება სხვა და სხვა ელემენტისაგან: არიან მაგალითად მუშები, გლეხები, ხელოსნები, ისე მემამულენი, მრეწველნი და მსხვილი მოხელეები. კათოლიკეთა სამღვდელოებისა და ძლიერი საეკლესიო ორგანიზაციის საშუალებით ცენტრმა შესძლო შეერთება და გამტკიცება ყველა ამ მოწინააღმდეგე ჯგუფთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიისა და ეკლესიის სახელით. ამ პარტიის წარმოშობა და განვითარება შედეგი იყო იმ „კულტურულ ბრძოლისა", რომელსაც ადგა ბისმარკი კათოლიკეთა ეკლესიისა და სარწმუნოების პოლიტიკასთან შეერთების წინააღმდეგ. „ცენტრი" ოპოზიციაში უდგა ბისმარკის მთავრობას, მხოლოდ 1879 წ., როცა „ცენტრმა" მიიღო ტარიფი და მფარველობითი ბაჟი, ჩამოვარდა ზავი და მალე იგი გახდა მთავრობის პარტიათ.

პირველ ყოვლისა „ცენტრი" მოითხოვს ეკლესიის სრულ დამოუკიდებლობას და საშვალო წოდების მფარველობას, მის მდგომარეობის გაუმჯობესებას, საქრისტიანო სოციალურ რეფორმების და ცალკე სახელმწიფოების განმტკიცებას. სხვა და სხვა სარწმუნოებას და სოლიდარობას, ეკლესიის ავტონომიას და სხვა.

ცენტრი არ ეკუთნის რომელიმე კლასის, ან წოდების პარტიას, ის წარმოადგენს სახალხო პარტიას, რომელიც იცავს ყველა წოდებისა და კლასთა ინტერესებს. ის წინააღმდეგობას უწევს ს. დ.—ბის მისწრაფებას და მსხვილს კაპიტალისტებს ცენტრი მოითხოვს გერმანიის ფედერალისტურ ორგანიზაციას. მისი გავლენა სახელმწიფოზე ძლიერია. ცენტრის ასე თუ ისე მოპყრობა კანონ-პროექტისადმი გადასწყვეტს ხოლმე უკანასკნელის ბედს.

1871 წ., „ცენტრს" ჰყავდა რეიხსტაგში 58 დეპუტატი, 1881 წ.—100 დეპ. 1890 წ.—106 დ. 1903 წ.—100 დ. 1912 წ.—90 დ. მისი ოფიციალური ორგანო „germania"-ა.

მემარცხენე ლიბერალები.

ლიბერალური პარტია გერმანიაში წარმოიშვა პოლიტიკურ ცხოვრების პირველ დასაწყისიდან 1848. მარტის რევოლიუციამ გამოაფხიზლა და შეაგროვა საზოგადო პოლიტიკური ძალები და დაუდვა საფუძველი საზოგადო ცხოვრებას. რადგან მარტის რევოლიუციის მომხდენნი უმთავრესად ლიბერალები იყვნენ, ამისათვის ფრანკფურტის პირველ საიმპერიო პარლამენტსა და პრუსსიის ეროვნულ ყრილობაზე უმთავრესად ლიბერალები აირჩიეს; და ის იდეალები, რაც მაშინ იმ კრებებზე გამოითქვა, დღესაც საფუძვლათ უძევს ლიბერალურს თვალთახედვას.

მათი პირველი მოთხოვნილებანი იყვნენ: ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება, პოლიტიკურ საქმისათვის და დანიშნულობისათვის ნაფიც მსაჯულთა შემოღება, კრებებისა და კავშირთა თავისუფლება, მსაჯულთა დამოუკიდებლობა, სარწმუნოების თავისუფლება, სახალხო წარმომადგენლობა, ვაჭრობა მრეწველობის თავისუფლება და სხვა.

1848 წ. პროგრამის რამდენიმე მუხლის განსახორციელებლათ დღესაც დიდი ბრძოლა აქვს ამ პარტიას. 63 წლის განმავლობაში ლიბერალურმა პარტიამ მრავალი უთანხმოება და გათიშვა განიცადა.

პირველ საიმპერიო დაწესებულებებში არსებობდა 3 ჯგუფი: მემარჯვენე, ცენტრი (არა ზემო აღნიშნული ცენტრი) და მემარცხენეები. 1861 წ. მარცხენა ფრთიდან, ცენტრიდან, და მემარცხენეების მარჯვენა ფრთიდან წარმოიშვა გერმანულ-პროგრესიული პარტია.

შემდეგ 1866 წ., „საკონსტიტუციო კონფლიკტის" გამო ბისმარკისა და პრუსიის ლანდტაგის შორის, მარჯვენა ნაწილმა და პროგრესიულმა პარტიამ წარმოშვა ახალი ჯგუფი „ეროვნულ ლიბერალებისა", რომელიც სდგას კონსერვატორებსა და „თავისუფალ მოაზროვნეთა" შუაში.

ეროვნული—ლიბერალური პარტია.

ეს პარტია აღიარებს შეურყეველს ერთგულობას იმპერატორისადმი და იმპერიის კონსტიტუციის უფლების მადლიანად დაცვას. ეროვნული ლიბერალები ეწრაფვიან სახელმწიფო დაწესებულებათა აღორძინებას და გაუმჯობესებას ეროვნულ და პროგრესიულ ნიადაგზე, ეს ახალი პარტია გამოეთიშა თუ არა თავისუფალ მოაზროვნეთა „წრეს, მაშინათვე მიემხრო ბისმარკის პოლიტიკას და მთავრობას ეროვნულ შეერთების მისწრაფებაში ეხმარებოდა.

ეროვნული ლიბერალები პირველ ადგილს აყენებენ ეროვნულ ინტერესებს: გერმანიის შეერთების საქმეს და მისი სიძლიერის აღორძინებას. ისინი მოითხოვენ ერთს ჯარს, ერთს უფლებას და ერთსა და იმავე ეკონომიურ პოლიტიკას მთელ იმპერიისათვის. 1870—71 წ. ომის შემდეგ ეს პარტია არაჩვეულებრივათ აღორძინდა და გაძლიერდა, ეროვნულ ლიბერალები სრულიად გერმანიის რეიხსტაგში შეიჭრა, როგორც უძლიერესი პარტია. 1971 წ. მათ ჰყავდათ 118 დეპუტატი. 1874 წ.—150 დ.

ეროვნული ლიბერალები იყვნენ უმთავრესი ბურჯი ბისმარკის პოლიტიკისა არა მარტო პოლიტიკურ საკითხში, არამედ შინაურშიაც. განსაკუთრებით 70 წ., როცა ბრძოლა ასტყდა ახლათ გამოსულ კათოლიკეთა „ცენტრის" და ბისმარკის პოლიტიკის შორის.

ამ ბრძოლას სახელათ ეწოდა „კულტურული" (კულტურკამპფა) და დასრულდა სამოქალაქო სკოლების შემოღებით, სინიდისის თავისუფლების აღსარებით და სავალდებულო სამოქალაქო შეუღლების შემოღებით და სხვა.

ბისმარკის დამარცხების შემდეგ დაიწყო პარტიის დაცემა, რომელმაც დაჰკარგა თავისი წასული გავლენა.

მეორე. ლიბერალების უკანასკნელი პროგრამა თხოულობს იმპერიის დაცვას და მის სიძლიერეს, საახალშენო პოლიტიკას, სამხედრო ძალის დაცვას, ფინანსიურ და ეკონომიურ ინტერესების ხელის შეწყობას; გერმანულ ეროვნულ სულის დაცვას, როგორც იმპერიაში, ისე მის გარეშე, (Deutschtum) ბრძოლის რეაქციის და რადიკალიზმის წინააღმდეგ, ეკლესიის გავლენისაგან სახელმწიფოს დაცვას. კრებათა და კავშირთა თავისუფლებას და სხვა

ეროვნული-ლიბერალური პარტია არის პარტია კომპრომისისა, პარტია, რომელიც მოქმედობს" მომენტის შესაფერათ, რომელსაც არა აქვს გარკვეული არც პროგრამა და არც ტაკტიკური პრინციპები. ის აძლევს ხმას ხან მემარჯვენეებს და ხან მემარცხნეებს. ყოველ უმთავრეს საკითხში ეს პარტია თამაშობს შუამავალის როლს. მას ყავს თანამოაზრენი მრეწველთა, ვაჭრებთა და მოხელეთა შორის. დღესდღეობით ეროვნულ-ლიბერალურ პარტიის ფრაქციას პარლამენტში ჰყავს 43 დეპუტატი.

1903 წ. მას ჰყავდა 51 დეპუტატი. 1890 წ.—48 დ. 1911—წ. 51 დ. მათი ოფიციალური ორგანო არის „National Zeitung" და „Kölnische Zeitung"-ი.

იმერელი ქალი.

(შემდეგი იქნება)

ახალი პროექტი.

შავი ზღვის ნაპირებისაკენ, გონიის საბოქაულოში მიწათმოქმედებისა სახელმწიფო ქონებათა ადგილობრივი მართველობა მიწის მზომელებსა ჰგზავნის. როგორც ნამდვილ წყაროებიდან გავიგეთ, საქართველოს ამ დაცარიელებულ კუთხეს, მთავრობა უპირობს დაჭრა-დანაწილებას და დარიგებას. ეს პროექტი კარგა ხანია შედგენილი იყო სახელმწიფო ქონებათა დეპარტამენტის მიერ, მაგრამ იგი ჯერ საიდუმლოთ ინახებოდა, რადგან ელოდებოდნენ შესაფერ დროს. ეხლა ბიუროკრატიულმა წრეებმა გადასწყვიტეს, რომ მომენტი სახეიროა და მიმალული პროექტიც გამოაჩინეს. თოფზარბაზნის გრიალით დაშინებული აჭარლები გაიქც-გამოიქცნენ, დროებით მიატოვეს თავისი ნაოფლარი მამულ-დედული, თავის მშვენიერი ფართო ჭალები...

აი საუცხოვო მომენტი პროექტის ასრულებისა, იფიქრა დეპარტამენტმა და შეუდგა საქმეს. არც სწუხს იმაზედ, რომ დროებით გაფანტული ხალხი დაუბრუნდება თავის კერას და სრული უფლებით მოითხოვს იმას, რაც მას კანონით ეკუთნის. მაგრამ სამიწათმოქმედების მართველობას პასუხი მზათ აქვს: რადგანაც მცხოვრებლები გაიქცენ და მიატოვეს თავის ადგილებიო, მაშასადამე, „მოღალატეები" არიანო, მოღალატეებს კი მიწას არ დაუბრუნებთო. როგორც ხედავთ, პროექტს ძალიან „სერიოზული მოტივები" მოსდევს, და შეიძლება, შეუფერხებლად განხორციელდეს. პროექტს ერთი დაბრკოლება თუ გადაეღობება: ძირითადი კანონი და სახელმწიფო სამართალი: ადმინისტრატიულ წესით დარბეულ ხალხის „მოღალატედ" გამოცხადება და ამავე წესით მიწის ჩამორთმევა ყოვლად უკანონოა და უსამართლო. მაშინ ასევე უნდა მოექცნენ პოლონელების მამულებს, ლიტველებს და საზოგადოდ, იქ, სადაც მრავალი ხალხია დარბეული და შიშისაგან აქეთ-იქით გაქცეული და მიმალული. ხალხის უფლების შელახვა იმისდა მიხედვით, რომ შავი ზღვის ნაპირები მეტად მოსაწონია ბიუროკრატიისათვის, ძალიან მსუბუქი საბუთია. ამიტომ საბრალო ქართველ მაჰმადიანების „მოღალატედ" გამოცხადებაც არასაკადრისი საქციელია, ადმინისტრატიული წესი აგრარულ საკითხში ცუდი და სახიფათო იარაღია. და, როდესაც განათლებული მიწათ-მოქმედების დეპარტამენტი ამ იარაღსა ხმარობს, სჩანს მას კანონიერი საბუთები გამოელია.

ასეთს გამწვავებულ დროს ასეთი უსამართლო მოქმედება დეპარტამენტისა საქართველოს მიწის მფლობელობის საკითხში, როდესაც მრავალი ქართველი სამშობლოს გარედ თავსა სდებს რუსეთის საკეთილდღეოდ, რა თქმა უნდა, მეტად მნიშვნელოვან და სამწუხარო მოვლენად უნდა ჩაითვალოს. „საქ.".

ქართული პრესა.

აბა, ჩვენსთანა პატარა გაზეთს ვინ-რა „ყურადღებას" მიაქცევდა, მაგრამ გამოვიდა თუ თუ არა გაზეთი „საქართველო", რომლის მიმართულებასაც ვემსახურებოდით და დღესაც ვემსახურებით, „სახალხო ფურცელმა", ამ უკანასკნელ ხანაში—ნუ კი გაგვიწყრებიან—მეტად უფერულმა, მთელი თავისი ძალღონე მოიკრიბა, თითქოს ძალთა მობილიზაცია მოახდინაო და ახალ-ახალ აზებით უმასპინძლდება იმათ, ვინც „**ახალი გზების ძებნაშია**".

აი რასა სწერს „სახ. ფურცელი" [illegible] მას მეხუთე ნუმერში:

„დიდი ხანია ერთი ნაწილი ჩვენი საზოგადოებისა რაღაც ახალი გზების ძიებაშია. გარეგნული გამოხატულება ამ ძიებამ მიიღო ჟურნალ-გაზეთების დაარსებაში. არსებული მიმართულების გაზეთებს არ მოსწონთ სწორედ თავისი მიმართულებით და ცდილობენ შეჰქმნან ახალი რამ ისეთი, რაც გასავალს მისცემს საზოგადოების ნაწილში მოგროვილ უკმაყოფილებას. ჩვენ ყოველთვის ვამბობდით და ეხლაც ვიტყვით, რომ, თუ საზოგადოების ამ ნაწილმა ჩამოაყალიბა თავისი საზოგადოებრივი სახე, ეს რაოდენმდე სასარგებლო იქნება, წინააღმდეგიც რომ ვიყოთ. ჩვენ მიერ აღსარებული პრინციპები ყველასათვის მისაღები არ იქნება. ხმარებაში წავიდა სიტყვები „ნაციონალ-დემოკრატიული", ნაციონალ-ლიბერალური" და სხვა. ჩვენც ველოდით, რა სახეს მიიღებდა ეს მიმდინარეობა. ლოდინი ლოდინად რჩებოდა, რადგანაც დღემდის ვერც ერთმა მათგანმა თავისი გარკვეული სახე ვერ დაგვანახვა. რითი უნდა აიხსნას ეს გარემოება? საკმარისი არ არის ნაციონალ-დემოკრატიული პრინციპების აღსარება, საჭიროა გამონახვა და შეკავშირება იმ ელემენტებისა, რომელთაც ეროვნული ცხოვრების განვითარება მხოლოდ დემოკრატიულ ფარგლებში მიაჩნიათ შესაძლებლად. ეროვნულ ნიადაგზე მდგარ და ამასთანავე დემოკრატიულ ჯგუფს ძალიან კარგად იცნობს ჩვენი საზოგადოება; იციან, ვინ არიან, რას აკეთებენ და რა იდეალებს ემსახურებიან. თუ ეროვნულ-დემოკრატიულ მოქმედებას ასპარეზი აქვს, ეს ასპარეზი კარგა ხანია დაპყრობილია. მიუხედავად ამისა, მაინც ჩნდებოდნენ ისეთები, რომელნიც უკმაყოფილებას აცხადებდნენ. რა ნიადაგზე უნდა აღმოცენებულიყო ეს უკმაყოფილება? ბევრს სოციალიზმი მიაჩნია ამ უკმაყოფილების მიზეზად. მაგრამ, თუ საკითხს ღრმად ჩავუკვირდებით, დავინახავთ, რომ სოციალიზმი აქ სრულიად არაფერშია; თუ ჩვენს ჟურნალ-გაზეთებს გადაავლებთ თვალს, დაინახავთ, რომ ძალიან ხშირად სრული სოლიდარობა მყარდება ისეთს ორგანოებს შორის, როგორიც არის: „თანამედროვე აზრი", „საქართველო", „სამშობლო" და „ხაკ. რეჩ"-ი. ყველა ესენი ხშირად შეთანხმებულან ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლაში. თუ სოციალიზმი ჰყოფს ამ ორგანოებს, რა აერთებს „საქართველო"-ს წინაპარს „კლდე"-ს და „თანამედროვე აზრ"-ს? უთანხმოების საფუძველი სულ სხვაგან უნდა ვეძებოთ.

გარდა ამ ელემენტებისა, რომლებიც თავის გარშემო შემოკრიბა **ორმა ცნობილმა საზოგადოებრივმა მიმართულებამ**, დარჩა კიდევ სხვა, პოლიტიკურად უსუსური და ცხოვრებიდან გარიყული. ჭრელია და უთავბოლო ეს ელემენტი. მას არც ეროვნულ იდეალი აქვს და არც ამ იდეალთან შეთანხმებული ტაქტიკა, გეგმა პრაქტიკული მუშაობისა. რაც უფრო დრო გადიოდა, ამნაირი ელემენტების პრეტენზიებიც იზრდებოდა; **ებადებოდათ სურვილი საზოგადოებაში** გაბატონებისა. ვერ ურიგდებოდნენ იმ გარემოებას, რომ ისინი ვერავითარ გავლენას ვერ ახდენდნენ საზოგადოებრივ ცხოვრებაზე და საზოგადოებრივ დაწესებულებათა სვე-ბედზე. იბრძოდნენ და ამ ბრძოლაში თან მოჰქონდათ

გმირი ქალი, მათე ყაჩაღად წოდებული.

(მე 18 საუკუნის საქართველოს ისტორიიდან).

(გაგძელება. დასასრული იქნება.)

ვუძღვნი ჩემ ძვირფას დედას.

ამ სურათმა საშინლათ აღელვა მეფე; მან არ იცოდა, რა ეთქვა პასუხად მათესათვის. ამ ამბის მთხრობელთა სიტყვით, მეორე დღესვე მეფემ მოიწვია სასახლეში მღვდელ-მთავრები; ჯვარით და სახარებით სამღვდელოებამ შეაჩვენა ბოროტი ბატონების საქციელიო... და ამისთანა საჩივარი კიდევ ბევრი მოსულია მეფეს მათეს წყალობითაო... მეფე ერეკლეს მუდამ აშფოთებული უსმენდა გამბედაძე და გულწრფელ მათეს, მაგრამ **საქმით კი ვერას შველოდა...**

ნეტა რა არის ამ სამწუხარო მოვლენის მიზეზი?.. ნუ თუ მეფე ერეკლეს არ სურდა გლეხთა ცხოვრების გაუმჯობესება?.. ან იქნება, მას მოაკლდა ძალა და ენერგია, რომ საქმით ვერას შველოდა და მხოლოდ ცარიელი კეთილი სიტყვით თანაგრძნობას უცხადებდა მათეს სამართლიან საჩივრებს?..

არა, ამ არა—სასურველ მოვლენის მიზეზი უფრო ღრმა არის... ჩვენ რომ ჩავუკვირდეთ მაია წყნეთელის თავგადასავალს, ადვილათ დავრწმუნდებით, რომ მთელი მისი მღელვარე ცხოვრება ცოცხალი პროტესტია იმ უვარგისი წესწყობილების წინააღმდეგ, რომელიც საქართველოში დამყარდა მე-18 საუკუნის განმავლობაში... ეს იყო ის დრო, როცა ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური სხეული საგრძნობლად შეირყა, ერი ეკონომიურათ დაეცა და ამავე დროს მეფის უფლებაც დიდი მამულების პატრონთა ანუ ფეოდალთა მეოხებით სრულიად დასუსტდა; დიახ, უფლებობა ცენტრალური ორგანოსი დამცირდა, ესე იგი ქვეყნის უმაღლეს მმართველობას მოაკლდა ძალა კანონების სისრულეში მოყვანისა; ამის გამო ხალხში გავრცელდა ძალ-მომრეობა, თვითნებობა და ყოველგვარი უკანონობა. ჩვენდა სამწუხაროდ, განმეორდა ის არა-ნორმალური ძველი ხანა, როცა ადამიანის ბედ-იღბალი წყდებოდა მუშტის საშუალებათ. ძლიერი იმ დროს ყველაფერში მართალი იყო, სუსტი—დამნაშავე... საქმე იქამდი მივიდა, რომ მეფე ვახტანგ VI-ის ჰუმანიური, კეთილშობილური კანონები ცარიელ სიტყვათ გადაიქცა...

ეს იყო ის დრო, როცა ჩვენი ბატონყმობა თანდათანობით სასტიკ და ულმობელ ხასიათს იღებდა. ამ დროს გლეხკაცის ცხოვრება, **განსაკუთრებით კი დედაცისა**, ნამდვილ ჯოჯოხეთს წარმოადგენდა. გლეხის ქალებს მზითვად აძლევდენ, ერთი ერთმანეთს ბატონები საჩუქრად უგზავნიდნენ; ბევრი ისეთი შემთხვევა ყოფილა, როცა ახალგაზდა ქალიშვილებს ცვლიდნენ თოფზე, ცხენზე და წარმოიდგინეთ—ხიზილალაზედაც... ეს გარემოება ნათლად ამტკიცებს იმ დროინდელი ქართველი საზოგადოების გონებით და ზნეობით დაცემას...

მეფე ვახტანგ კანონმდებელი სულ იმას სცდილობდა, რომ ყმისათვის პიროვნული უფლება მაინც მიენიჭებინა და მოახლეთ წასვლა ყმის ნებაზე დაეყენებია და არა ბატონის სურვილზე... სამწუხაროდ, ამ მეფის ცდამ არავითარი ნაყოფი არ მოუტანა მდაბიო ხალხს. სამართლიანმა კანონმა ფესვი ვერ მოიკიდა ჩვენში. პირიქით უკანონობამ და ძალმომრეობამ უფრო და უფრო იმატა და ზოგიერთი ბატონის თავგასულობას საზღვარი აღარ ჰქონდა.

ამგვარათ თვით ცხოვრებამ გვერდი აუქცია ვახტანგის კანონს და ამ გარემოებამ ცუდი შედეგი მოუტანა საბატონო გლეხებს. წინააღმდეგ კანონისა ცხოვრების პრაქტიკამ დიდი უფლება და ძალა მისცა ბატონს თავის ყმაზედ. ბატონმა ისარგებლა მისთვის ხელსაყრელი შემთხვევით და არავითარ ყურადღებას არ აქცევდა დასახელებულ ქვეყნის გამგეთა მოთხოვნილებას... ზოგიერთმა ძლევამოსილმა ბატონმა საკუთარი უფლებები ძალიან გააფართოვა, გააზვიადა. იგი გამეფდა არა მარტო ყმის ქონებასა და შრომაზე, არამედ თვით მის პირადობაზედაც. აქედან ცხადია, რომ სამართლის წიგნი, მეფე ვახტანგის მიერ დამტკიცებული, ქაღალდზე დარჩა, იგი ცხოვრებაში არ განხორციელდა... პრაქტიკა სულ სხვას უკარნახევდა ხალხს... კანონი ერთს ამბობდა, ცხოვრება—სხვას; მათ შუა იყო დიდი ზღვარი.. რასაც იმ დროს ზოგიერთი ვაჟბატონი სჩადიოდა, ამის უფლება ვახტანგის სამართლის მიხედვით, ნება არ ჰქონდა. კანონების მაგიერ დამყარდა სხვადასხვა ჩვეულება. აი სწორედ ამ ჩვეულებებმა ბატონებს მიანიჭა ის, რასაც უარყოფდა ვახტანგის კანონი. ამგვარათ კანონისა და ცხოვრების შორის თავისთავად გაწყდა შემაკავშირებელი ძაფი.

ეს სამწუხარო მოვლენა უნდა აიხსნას არა კანონების სისუსტით და უვარგისობით არამედ იმ დროინდელი ცხოვრების საზოგადო პირობებით, უფრო კი მეფური უფლების დაცემით.

თვით ვახტანგი ამას გრძნობდა; მისი მხრით ყოველ შემთხვევისათვის ჯეროვანი ახსნა და განმარტება მეტად ძნელი იყო იმ დროისთვის; სხვათა შორის, კანონების კრებულის წინასიტყვაობაში იგი სწერდა შემდეგს: „არ ვიჩემებ, რომ ჩემ სამართლის წიგნს არა აკლდეს რა. ბევრი ისეთი საჩივრები არის და მოვა, რომ ზოგი ვერ მოვიგონით და არც მისწვდება კაცის გონება. ვინც მიხვდეს რასმე, მოიგონოს, ჩაურთოს და ჩასწეროს... კარგსა და მართალსა იქს"...

ვახტანგის მისწრაფება მეტად ღრმა და სამართლიანია. იგი თხოულობდა, რომ მის მომავალ—თაობას შეევსოს ახალი და „კარგი კანონები". საუბედუროთ, ცხოვრებამ ისეთი მიმართულება მიიღო, რომ მეფის ხმა დარჩა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა. მისი უკეთესი კანონები პრაქტიკამ ძირიანად უარყო, განსაკუთრებით კი მეტად შელახა და შეურაცხყო გლეხის პიროვნება.

როგორც წინედ შევნიშნე, ასეთი გარემოების ძირითადი მიზეზი ცენტრალური ორგანოს უფლებათა დასუსტებაა. მეფეს აღარ ჰქონდა ძალა, რომ ბატონთა მოქმედებაზე სასტიკი კანტროლი მოეხდინა. ამიტომაც აღვირ-აშვებულს ბატონს არამც თუ ძალათ მიყავდა მოახლედ ყმის ცოლი და მისი ქალიშვილები, არამედ ძალასაც კი ხმარობდა დედაკაცის ნამუსზე, მის წმინდა ღირსებაზე.

ამავე დროს ქართველი გლეხი ქალის ზნეობითი სიმტკიცე იქამდის მიდიოდა, რომ მსუნაგ და ქეიფით გაღლენთილ ბატონებს არა ნებდებოდენ; თავის ქალური ღირსების დასაცველად ზოგი თავს მოიკლავდა ხოლმე, როგორც, მაგალითად, ჩაიდინა მრევლის ქალმა, რომელიც მესამე სართულიდამ გადმოვარდა, როცა შეიტყო თავად თაქთიშვილის ბილწი განძრახვა; ამ უკანასკნელმა გოგო შეიტყუა ოთახში იმ მიზნით, რომ მისთვის აეხადა ნამუსი; ზოგი კი, უფრო გამბედავი და ღონით სავსე ქალი, თვით ბატონს კლავდა შეურაცხყოფისათვის... ასე მოიქცა, მაგალითად, თინა წავკისელი; მან ღამით ლოგინშივე ლორივით ჩაკლა თავისი ბატონი გაბაშვილი, რომელმაც იგი გაუპატიურა...

აი, ასეთს აუტანელ პირობებში ცხოვრობდა იმ დროს მდაბიო წოდების ქართველი ქალი. მიუხედავათ ამისა, ბევრი მათგანი, დაჯილდოვებული ბუნებისაგან გმირული სულით და საზოგადოებრივი ინსტიკტით, ივიწყებდა თავის პირად დამცირებას და შეურაცხყოფას, ყურადღებას არ აქცევდა თავის პიროვნების შელახვას და გამოდიოდა საზოგადო სარბიელზე ქვეყნის დამცველი და ყოველგვარი უკანონობის წინააღმდეგ მებრძოლი... ასეთია პსიხოლოგია დიდ ბუნებოვანი ადამიანისა, ქალისაც და კაცისაც... მართლაც, მთელი თავისი არსებით ეს გმირი ქალები გრძნობდენ, რომ ბედკრული მათი სამშობლო დიდ განსაცდელშია, დაღუპვის გზისაკენ მიისწრაფვის და საჭიროა ამ დროს არა პირადი ვისიმე შურისძიება, არამედ ბრძოლა, შველა და დახმარება. ვისაც კი როგორ შეეძლო...

ამ გმირ ქართველ ქალთა ჯგუფში უდიდესი ადგილი, ჩემის აზრით, უჭირავს მაია წყნეთელს ანუ თბილელს, რომელსაც ჩვენ უფრო ვიცნობთ მათე ყაჩაღის სახელით.

IV

როცა მამაკაცურად ჩაცმული მაია გარეშე მტრებზე იმარჯვებდა, მაშინ მთელმა ქართველობამ, განურჩევლად წოდებისა და სქესისა, იგი აღიარა გმირად და მის სახელს ყველა მოწიწებით და დიდის პატივისცემით იხსენიებდა. როცა კი ამ უშიშარმა „ფალავან-გმირმა" დიაცმა იერიში მიიტანა შინაურ მტრებზე და გამოააშკარავა ზოგიერთი ვაჟბატონის უსამართლობა და უზნეობა, მაშინ სურათი გამოიცვალა. აღელდნენ ეს მამულიშვილები და გადასწყვიტეს შური იძიონ მათეზე: ან უნდა მოეკლათ მათე ან არა და სრულიად გაეძევებიათ სასახლიდამ, სადაც მას იშვიათი ნდობით ეპყრობოდა თვით სახელ განთქმული მეფე ერეკლე..

მთელი თავისი უპრინციპობა და ეროვნულ-პოლიტიკური არეულ-დარეულობა. ყოველნაირი ჯურის, ყოველნაირი აზრის, ყოველნაირი მდგომარეობის ადამიანები ხშირად რაღაცას საერთოს ჰპოულობდნენ მხოლოდ მაშინ, როდესაც საჭირო ჰხდებოდა უკვე ფესვ-მომაგრებულ საზოგადოებრივ ჯგუფებთან შებრძოლება. მაგრამ ეს **საერთო** მყისვე იშლებოდა, რა წამს გადასაწყვეტი ჰხდებოდა რაიმე რთული საზოგადოებრივი საკითხი. პოლიტიკური აზროვნების სიმტკიცე არ იყო და იმიტომა და სხვა.

როგორც ხედავთ პატივცემულ „სახ. ფ.“ არც აციებს, არც აცხელებს და იმ ჯგუფს, რომელნიც მტკიცე, პირდაპირის და შეურყევლის რწმენით გამოვიდა წმინდა **ეროვნულ-დემოკრატიულ** დროშით ხელში, **უპრინციპობა** და **ეროვნულ-პოლიტიკურად** მოუმზადებელს უწოდებს... რათა? იმიტომ, რომ უნდა შეინარჩუნოს „სურვილი საზოგადოებაში გაბატონებისა“...

პატივცემული გაზეთი „სახ. ფურ.“ ვერ ურიგდება იმ გარემოებას, რომ „**ორ ცნობილ საზოგადოებრივ მიმართულებას** მესამე ამოუდგა გვერდში და მათ ნაკლსა და ღირსებას კრიტიკის ქარ-ცეცხლში ატარებს.

მართალია იყო დრო, როცა მთელი საქართველო სოციალისტობდა და გავლენაც იმ პარტიასა ჰქონდა, რომელიც უფრო ბევრ სიკეთეს **ჰპირდებოდა** მასას, ხალხს, მაგრამ გავიდა დრო, აზობოქრებულ და აღტაცებულ სურვილებს ხალხისას ცხოვრების სინამდვილემ ფრთები შეაჭრა, **დაპირებანი** ისევ ოცნების სფეროში დარჩა და გამოფხიზლებულმა ხალხმა საქართველოისამ თვალები მოიფშნიტა. მისი ნამდვილი ჭირისუფალნიც გამოფხიზლდნენ ოცნების ბურანისაგან და საქართველოს რეალურ მოთხოვნილებას ყურადღება მიაქციეს, —შეაფასეს იმ „2 ცნობილ მიმართულებისაგან“ ნამოძღრევი ღირებულებანი და დაინახეს, რომ თუ „**ორივე ცნობილი მიმართულება**“ ჩვენის, ქართველების, ცხოვრებისათვის ყალბნი არ იყვნენ, ერთ-ერთი მაინც „იმ მიმართულებათაგანი“ უსათუოდ „ორ სკამზე იჯდა“ და ვერაფერს რეალურს და გადაჭრილს ჩვენს ცხოვრებას ვერ შესძლებიდა

ასეთი „ორ სკამზე ჯდომა“ ბედმა სწორედ „სახალხოელებს“ არგუნა და ახლა, როცა მესამე ჯგუფი—ნამდვილი **ეროვნულ-დემოკრატები**—მათს ამ „ორ სკამზე ჯდომას“ ააშკარავებენ, სხვა რაღა დარჩენია „სახ. ფურცელს“, რომ ლობე-ყორეს არ მოედოს და უპრინციპო და მოუმზადებლობა არ უკიჟინოს?

ჩვენ არ ვუწოდებთ ასეთ მათ საქციელს შესაფერ სახელს, ჩვენ მხოლოდ გვინდა ვიცოდეთ რას უძახის „სახ. ფურცელი“ პრინციპს და მომზადებას? ნუ თუ ის არის პრინციპი, რომ მთელი ნახევარი საქართველო სხვას გაუზოძეო, ან ის რომ რეფერანსები აქეთო მარჯვნივ, თუ მარცხნივ, ან ის ხომ არ არის პრინციპი, რომ ადამიანმა შექმნას ერთ-გვარი **კასტა**, იყოლიოს თავისი დამქაშები, თავისი ბრმა მიმდევარნი, რომელთაც, რასაც გინდა, იმას ათქმევინებ თუ აწერინებ, ან შეიძლება ის იყოს პრინციპი და მომზადება, რომ არავის არ მისცეთ გზა-სავალი და გამოსვლისათანავე კისერში ხელი წაუჭირო და დაახრჩო, ან შეიძლება ის იყოს პრინციპი, რომ სინამდვილეს, სიმართლეს ხელი დააფარო და რაკი „ჩემი პარტიისა არისო“ სხვა ჯვარზე გააკრა.

დიახ, თუ ეს **პრინციპებია**, მაშინ ჩვენ ეროვნულ დემოკრატები მართლაც **უპრინციპონი** ვყოფილვართ და არც გვინდა ასეთი „პრინციპიანობა“...

ჩვენი მიზანია ქართველი ხალხის აღორძინება ყოველის მხრივ, ჩვენი მასულდგმულებელია დაცვა საქართველოის ისტორიულ მიწა-წყალისა ქართველებისათვის, ჩვენი იდეალია გათვითცნობიერება და გაღვივება ქართველი მშრომელი ხალხისა.

ჩვენ გვძაგს ყოველგვარი **კასტა** და გვეზიზღება პრივილიგიები და „შენ-ჩემობა“ საზოგადო, საქვეყნო საქმეში!

საქართველო ქართველებისათვის, გზა და ასპარეზი ნამდვილ ქართველ მოღვაწეებს!..

ძირს ყოველგვარი სიყალბე და „შენ-ჩემობა“ ქართულსა და საქართველოს შესახებ საქმეებში!

არ მოგწონთ ჩვენი განზრახვა და რწმენა?—თქვენი ნებაა, მხოლოდ ჩვენ კი გვგონია, რომ ქვეყნის ხსნა მხოლოდ პირდაპირობასა და უანგარობაშია. ჩვენ არავითარი სურვილი არა გვაქვს „საზოგადოებაში გაბატონებისა“ ეს ისევ „იმ ორმა ცნობილმა მიმართულებამ“ დაიჩემოს, ჩვენ კი ერთგვარადა გვძულს **ბატონიც და ყმაც**. გაუმარჯოს თავისუფალ ღირსეულ ქართველს თავისუფალს და ღირსეულად აყვავებულ სამშობლოში...

შეიძლება ესეც უპრინციპობა გეგონოთ?!

— იყავნ ნება თქვენი!

ბედშავ საქართველოს საოცნებოთ არა სცალია: მას „პური არსობისა“ სჭირია და ვინც მას პურის მაგიერ ქვას მიაწოდებს, სასტიკ ბრძოლას გამოვუცხადებთ, —ხოლო ვინც საქართველოს დღეგრძელობაზე იფიქრებს, იმას ტაშს დაუკრავთ, რა მიმართულებისაც უნდა იყოს იგი „თავისთვის და თავისიანებში“...

ბოროტმა პირებმა მალე მიაღწიეს თავის მიზანს. ისარგებლეს შემთხვევით და მათეს უკან დაედევნენ მოსაკლავად, მაგრამ ვერას გახდნენ. პირიქით ღონიერმა და უშიშარმა მათემ ერთის გარდა ყველანი მოკლა. ამ გადარჩენილს მან ზიზღით უთხრა: შე ოხერ-ტიალო და შერცხვენებულო! ნეტა ვიცოდე, ჩემი სიკვდილით თქვენ რას მოიგებდითო?“ ამ გაიძვერა ბატონმა თავი იმართლა და ასე უპასუხა ცბიერებით: „კაცო, კარგად გაიგე, რომ ჩვენ კი არა, თვით მეფე ერეკლეს ნებავს შენი სიკვდილიო!..

ამ გაიძვერა კაცის სიტყვებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მათეზე. ამ ახალმა ამბავმა ღრმად ჩააფიქრა იგი. დაუჯერა უზნეო კაცისაგან მოტანილ ჭორებს, ეჭვი შეიტანა მეფეზე და სასახლეში დაბრუნება ველარ გაბედა. დარჩა საწყალი მათე ისევ უპატრონოდ, უნუგეშოდ. მისი ერთად-ერთი მფარველი, ღმერთის გარდა, იყო მეფე ერეკლე და ესეც მას გადაუდგა ბატონების მოხებით.. როცა ღრმად ჩაუფიქრდა ამ გარემოებას, მათემ დაარწმუნა თავისი თავი, რომ დღეის შემდეგ მის სიტყვას მეფის წინაშე არავითარი გავლენა აღარ ექნება... ასეთი დაბოლოვება საქმისა არც იყო იმ დროს მოულოდნელი და გასაკვირალი.

თავზარ დაცემული მათე საშინელ მდგომარეობაში ჩავარდა.. ბოლოს გონს რო მოვიდა, გადასწყვიტა წასულიყო შორს, რომ თავი სადმე შეეფარებინა.. ენერგიით სავსე მათეს ჯერ კიდევ სწყუროდა სიცოცხლე!.

„უზნეო პირთა ენამა, ამბობს ხალხური ლექსი“.

არ მოასვენა მაია
და მოაბარეს ნეფესა
გლახაკთ მოსარჩლე დაია.
მათე მაია ღევნილმა
ტყისკენ გასწია მალულად
და ყაჩაღობა დაიწყო
ხან ცხადლივ, ხანაც ფარულად...

დიახ, ბევრი ფიქრის შემდეგ, მაია წავიდა თრიალეთში და თავის უნებურად მოჰკიდა ყაჩაღობას ხელი. აქ იგი რამოდენიმე ხანს დარჩა: ემალებოდა პირად მტერს, უფრო კი ეშინოდა თვით მეფე ერეკლესი.

„თრიალეთის ხევ-ღნარებში შეინახა თავიო, ამბობს თანაგრძნობით ხალხი დევნილ მაიაზე; იმ ალაგას, სადაც იგი მტრებს ემალებოდა, ადგილობრივმა მცხოვრებლებმა დაარქვეს „მაიას საბუდარი“..

ასე უცნაურად დატრიალდა გმირი ქალის ბედის ჩარხი. მოულოდნელმა გარემოებამ აიძულა კეთილი და ქვეყნისათვის თავდადებული ადამიანი უკანონო გზაზე დამდგარიყო. ყაჩაღობაშიც მათე-მაიამ ისეთივე გამბედაობა გამოიჩინა, როგორც წინად მტრებთან ბრძოლაში. ბევრ ბოროტ კაცს მან ბოლო მოუღო და სიცოცხლეს გამოასალმა. ღარიბ ხალხს კი ის არას ერჩოდა, პირიქით დახმარებას უჩენდა; მიუხედავათ ამისა, უშიშარი მათე ყაჩაღის სახელი დიდ შიშს იწვევდა მთელ ქართლ-კახეთში. ამის გამო მისი პირადი მტრები კიდევ შეერთდნენ და ხელახლად განიძრახეს თავისი მოწინააღმდეგის მოკვლა. ჯაშუშების შემწეობით მათ მიაგნეს მათე-ყაჩაღის ბინას და დაიწყეს სასტიკი დევნა..

გაიგო თუ არა ეს ამბავი, მათემ სრულებით თავი დაანება ყაჩაღობას და გადასახლდა სომხეთის ერთ-ერთ მიყრუებულ სოფელში... აქ მაია დარჩა იმ დრომდი, სანამ ხანში შევიდოდა; იგი ცხოვრობდა თავის შრომით, მოსვენებით ატარებდა დროს. მისი ვინაობა არავინ იცოდა.

აი, სწორედ ამ დროს საქართველოში გავრცელდა ხმა, რომ საშიში მაია ყაჩაღი მოკლესო... ეს ხმა, როგორც ვიცით, ახლა, უსაფუძვლო გამოდგა.

ალ. გარსევანიშვილი.

ფიქრები უცხო მხარეში.

სიყმაწვილეში, როს ცხოვრების არა ვიცოდი,
და ჩემსა სულში ბავშურ გრძნობის ჩიტი დაფრენდა,
მოუთმენლობით ოცნებისა ცეცხლში ვიწოდი,
აღთქმის წალკოტსაც ახლოს ვგრძნობდი—და ეს მალხენდა;
ჩემი ვარსკვლავიც მოკამკამე გზას მინათებდა,
და მეც ვილტვოდი მისი ტრფობით აღფრთოვნებული;
მე მტკიცეთ მრწამდა—გრძნობა, ჩემი მას მისწვდებოდა—
შევიქნებოდი გულწრფელი ტრფობით ამაღლებული.
მე მიხაროდა, ვნატრულობდი ყოფნას უსაზღვროს,
მსურდა ჩემს ყოფნას ბოლო სრულად არ ჰქონებოდა;—
ასე მეგონა, ასე ვგრძნობდი მე იმ ნეტარს დროს,
რომ ის ოცნება სინამდვილედ გარდიქმნებოდა!..
მაგრამ სხვა მოხდა... ცის ტატნობზე ჩაქრა ვარსკვლავი—
უკანასკნელი მისი კვნესაც გულს ჩამახდინა;
ვაგლახად ვნახე ჩემი ტრფობის შავი საფლავი—
შვება დაიმსხვრა, სიმწუხარემ ამაქვითინა;
ოცნების რიდეს კაეშანი ზედ გადაეჭდო,
ფაქიზსა გრძნობას მწარე გესლი შიგ შეერია,
და იდეალი და მიზანი, რაც გულში მედო
შორს გამიფანტა, ძლიერ შორსა, და დაამსხვრია.
უცხო მხარეში სასტიკ ბედით გამოტყორცნილი—
შინაც ობოლი, აქ ხომ სრულიად დაობლებული
ხელ-ფეხ შეკრული, სხვისი მონა, სხვისი მორჩილი,
როგორც პირუტყვი, საყასბოსთვის გამზადებული—
როს წარმოვიდგენ ამ ჩემს ყოფნას, ყოფნას უაზროს—
მთელ ჩემს სხეულში ტანჯვის ჰია დაისისინებს,
ცდილობს ჩემს სულში მოგონებაც ჩაკლის, დააზროს
და ჩემი სულიც მწუხრებით ამოიგმინებს...
და მეც შევყურებ ოდნავ მჟუტავ ჩემს ბედის ვარსკლავს
და ვნატრობ ბარემ ისიც როდის ჩაესვენება
რომ ჩემსა სხეულს და ჩემსა სულს, პირშეკრულ საკლავს,
რომ მიეკაროს მშვიდად ძილი და განსვენება,

ქ. ვატკა, 11 აპრილი.

ს. ურუშაძე.

ახალი ამბავი.

ქუთაისი.

✦ შაბათს, 13 ივნისს, საღამოს 8 საათზე, ჭიათურის საბჭოს დარბაზში დანიშნულია ქუთაისის ქალთა საზოგადოების წლიური კრება, რომელიც წასულ შაბათს წევრების საკმაო რიცხვის დაუსწრებლობის გამო არ შესდგა. გასარჩევია წლიური ანგარიში და გამგეობის არჩევნები. სასურველია, რაც შეიძლება მეტი წევრი დაესწროს, რათა ამიერიდგან გამგეობა ირჩევა სამი წლით. ამ კრებაზე შეიძლება მამაკაცების დასწრებაც, რომელთაც სათათბირო ხმა ეძლევათ.

✦ ამ ერთი თვის წინათ ამიერ კავკასიის რკინის გზის სამართველომ ქუთ. ქალაქის გამგეობის წინაშე შუამდგომლობა აღძრა, რომ ქალაქის რკინის გზის სამართველოსათვის დაეთმო სალარიის აგარაკზე 86 დესეტინა მიწა.

რკინის გზის სამართველოს უნდოდა ამ ადგილზე გადაეყვანა მდინარე რიონი და აეგოთ ჰიდროტეხნიკური შენობები რკინის გზის საჭიროებისათვის. ეს შუამდგომლობა თავის უკანასკნელ სხდომაზე განიხილა ქალაქის საბჭომ და რკინის გზის სამართველოს უარი უთხრა.

✦ ქალაქის გამგეობამ ქართულ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ქუთაისის განყოფილების გამგეობას, განყოფილების მოსათავსებლათ დაუთმო თბილისის ქუჩაზე თავის სახლში ოთხი ოთახი, ქალაქის პირველი აფთიაქის ზედა სართულში.

✦ სამშაბათს, 9 ივნისს, დ. ზესტაფონში ქართველთა შორის წ. კით. გამავრც. საზ. ადგილობრივმა განყოფილებამ აკაკის დაბადების დღის აღსანიშნავათ გამართა საღამო.

✦ სრულიად რუსეთის „წითელი“ ჯვრის საზოგადოებას მეომართა სასარგებლოთ დღემდის 7,887,471 მან. და 83 კაპ. შეუკრებია.

✦ მთავრობას დაუდგენია აეკრძალოს ყველა კინემატოგრაფის პატრონებს, გერმანიიდან კინემატოგრაფიული ლენტების შემოტანა.

✦ ბ. გუბერნატორმა ნება დართო ქუთაისში მყოფ ქართველ სტუდენტებს გამართონ კრება აპარლების შესახებ. მოსალაპარაკებლად.

✦ ქალაქის საბჭოს სარევიზიო კომისიამ შეიმუშავა თავის მოქმედებისათვის ინსტრუქცია და ქალაქის გამგეობას წარუდგინა.

✦ დღეს, საზოგადო საკრებულოს საზაფხულო სადგომში გაიმართება საოჯახო საღამო. შემოსავლის 10% გადადებული იქნება ომის საჭიროებისათვის.

✦ 13 ივნისს, დღით 2 საათზე, პუშკინის ქუჩაზე, თეთრი ხიდის მარცხნით, მდ. რიონში გადავარდა და დაიხრჩო 16 წლის ყმაწვილი ივანე ფრუიძე. გვამი ჯერ კიდევ ვერ უპოვნიათ.

✦ ხვალ, 14 ივნისს, საზოგადო საკრებულოს სადგომში გაიმართება „საბავშო დღე“.

✦ ხვალ, 14 ივნისს, ქუთ. ქალ. თეატრში ალ. იმედაშვილის მეთაურობით წარმოდგენილი იქნება შექსპირის ტრაგედია „ოტელო“.

✦ დრამატიული საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება 16 ივნისისათვის გადაიდო.

✦ ხვალ, 14 ივნისს, შავიქვის საბჭოს დარბაზში მოხდება ქართველთა შორის წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება. ეს კრება წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობის გამო რამდენჯერმე გადაიდო.

მოწერილი ამბები.

ლანჩხუთი. კვირას, 7 ივნისს, ლანჩხუთის სასოფლო სამმართველოში, ლანჩხუთის რწმუნებულ-ვექილების მიერ სამაზრო სამმართველოდან დამშეულთათვის სესხად გამოტანილი ფულების დარიგება მოხდა. ვექილები ხელმძღვანელობდნენ მთავრობისაგან რაღაც შედგენილ და დამტკიცებულ სიით. სამწუხაროდ, აქაც იჩინა თავი ნათესავობამ და მეგობრობამ. ყველაზე მეტი მიიღეს იმათ, ვისაც თავისი სიმინდი საყოფიც ჰქონდა; აგრეთვე იმათ, სადაც ორი და სამი მუშა ხელი არის ოჯახში; სამოწყალოთ ცოტა შეახვედრეს ქვრივ ოხრებს და იმათ, ვინც იანვარ თებერვლიდან ყიდულობს სიმინდს. სათადარიგო ჯარის კაცების ოჯახებს, დავრდომილებს და სიმშილისაგან დაავადმყოფებულ ოჯახებს სულ არ მიუღიათ არაფერი. დღემდის ნამდვილ ჯარისკაცების მშობლებს ყურადღება ქონდა მიქცეული. დღეს, ვითომც არაფერი, არც საზოგადოება, არც მთავრობა არაფერს ანგარიშს არ უწევენ და მათ გაჭირვებულ ოჯახებს ყურადღებას არ აქცევენ:

ფრიად სიმპატიურ დაწესებულების გახსნას, როგორიც არის საზოგადო აფთიაქი, პატარ-პატარა ჯგუფები ხელს უშლიან. საჭიროა მეტი ყურადღება, რომ ასეთ დაწესებულებას საძირკველი არ ჩაეშალოს.

ბ. ქავთარაძის სიმინდი ლანჩხუთში არ არის. მის მაგიერ მთავრობის ნებართვით ვაჭრობას იწყებს კერძო კომპანია, მაგრამ კომპანიას ნიხრი არ ექნება.

ბ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ. ზესტაფონი. დღეს ადგილობრივ საკრებულოს დარბაზში ქართველ მსახიობთა ამხანაგობის და თანამშრომელთა— მიერ წარმოდგენილი იქნება ცნობილი პიესა ლეონიდ ანდრეევისა:

„დღენი ჩვენის ცხოვრებისა“ თარ. ალ. იმედაშვილის-მიერ. უმთავრეს როლებს შეასრულებენ ქ—ნი მარო მდივანი ბ. ყალაბეგაშვილი, ბარველი, სანდალიძე, ურუშაძე და სხვანი. წარმოდგენა დაიწყება სრულ 9 საათზე. დასმა გამოუშვა აბონიმენტი, რის გამოც პირველი სამი რიგის ბილეთი ეთმობა ნახევარ ფასში.

——

ხუთშაბათს დაასაფლავეს ა. ნებიერიძე, რომელიც შეძლებული ვაჭარი იყო და ყველა საქველ-მოქმედო საზოგადოებაში იღებდა მონაწილეობას. დასაფლავებას დიდძალი ხალხი დაესწრო.

——

კვირას, 14 ივნისს, დ. ხარაგოულში, ადგილობრივ სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილი იქნება, „**ჩვენი სოფლის რაინდი.**

——

აკაკის საღამოზე შემოსავალი იყო 285 მანეთი, ხარჯი 105 მანეთი. საღამო შინაარსიანი აღმოჩნდა და ნასიამოვნები დაიშალა საზოგადოება—ბანკეტის შემდეგ; ბანკეტზე რამდენიმე შინაარსიანი სიტყვა სთქვა ჩვენმა ბელეტრისტმა არ. ჭუმბაძემ.

კვიმატი.

მოწოდება.

ქუთაისის ქალთა საზოგადოების მიმართ.

ქ.—ბატონებო!

გვეყოფა ამდენი ხნის გონებრივი ძილი. გამოვერკვიენეთ. დავამტკიცეთ, რომ ჩვენც კაცნი ვართ, მხოლოდ დედათ წოდებულნი რომ ჩვენც გვაქვს ძალა და სიმხნე გვერდით ამოვუდგეთ მამაკაცებს საქვეყნო საქმისთვის ბრძოლაში. შევიგნოთ, რომ უკვე დადგა დრო ერის აღორძინებისა, უკვე გამართულია ბრძოლა ეროვნული სულის სასიცოცხლოთ გამოსაბრუნებლად. გავახილოთ გონების თვალი და მრავალგან დავინახავთ მსხვერპლს, მამაკაცთაგან თავგანწირვით შეწირულს ქვეყნის სამსხვერპლოზე. გავიხედოთ მომავლისკენ და შევასხათ ფთანი ჩვენს სულს მით, რომ ახლოვდება დიდებული ხანა ჩვენის ერის ურთიერთ შორის დაკავშირებისა.

დაე იგრძნოს თითოეულმა ჩვენთაგანმა, რომ უკვე ახლოს სჩანს დიდებული სურათი ჩვენი ერის მომავლისა,— მსგავსი ჩვენი ბრწყინვალე ისტორიული წარსულისა, მხოლოდ შეცვლილი დღევანდელ დროის მიხედულებით, ვაი ჩვენდა, თუ ამ დიდებულ დროს ჩვენ არ გავუწევთ ანგარიშს, თუ დავრჩებით მხოლოდ ქალაჩუნა ქალებად და ოდნავ მაინც არ შევიქნებით მსგავსნი დიდებულ ისტორიულ ქართველ დედაკაცებისა.

მაშ შევიგნოთ ჩვენი ვალი და ადრე მივაღწევთ ბრწყინვალე მომავალს.

პირველი ნაბიჯი ჩვენ უკვე გადავსდგით ჩვენის წრის დაარსებით. ამ წრეს დიდი ღვაწლის მოტანა შეუძლია ქვეყნისათვის, თუ იგი ჯეროვან ნიადაგზე იქნება დამყარებული, ქალთა ენერგია საქვეყნოთ ნაქებია, მაგრამ, საუბედუროთ, ეს ენერგია მიმართულია წვრილმან, პირადი საქმეებისაკენ. მეტადრე ჩვენ, თანამედროვე ქართველ ქალებს, ეს ნაკლი ერთი-ორად გვემჩნევა, რადგანაც აღზდილნი ვართ მწირს, გარდამავალ ხანში მცხოვრებ მონადედებისაგან, იმ დედებისაგან, რომელთაც თავიანთ შვილების გადაგვარება, ეროვნულად გადარჯულება და მშობლიური ენის სხვა ენაზე შეცვლა იდეალად მიაჩნდათ, მაგრამ ჩვენ უნდა შევიგნოთ

ჩვენთა აღმზრდელთა ნაკლი, არ უნდა ვბაძავდეთ მათ, უნდა სხვა მხრივ მივმართოთ ჩვენი ენერგია, უნდა უკუ-ვაგდოთ ფიქრი პირად ფუფუნებაზე და მთელი ჩვენი ძალ-ღონე უნდა შევსწიროთ ჩვენს ხალხს. სხვა ერების ქალებმა უკვე დიდი ნაბიჯი წასდგეს წინ, მთელი რუსეთის სოფლების სკოლები მოფენილია მასწავლებელ-ქალებით, რომელნიც ამმოღვაწეობას ეწევიან იდეის გულისათვის და არა მარტო ლუკმა-პურის შოვნისთვის, ჩვენ კი ჩვენი პიროვნება ჯერ ვერ გამოგვირკვევია! აღზრდილნი მონა-დედებისაგან, არ გვინდა გამოვიდეთ გონებრივ და ზნეობრივ მონობისაგან და დამოუკიდებელის, ადამიანურის უფლებებით აღვჭურვოთ ჩვენი პიროვნება. ტვირთნი ვართ, მძიმე ტვირთნი მამა-კაცებისა, ურომლისებოთ ფიქრი და აზროვნებაც კი არ შეგვიძლია. ამიტომაც მამაკაცნი ხშირად ჩვენ გვიცქერენ; როგორც სათამაშო რამეს, როგორც ნივთს, მათ საკუთრებად შექმნილს და არა როგორც მათს თანაბარ — უფლებოვან, გამორკვეულ პიროვნებას.

აღვიდგინოთ ჩვენი გონების ძილისა და ისტორიული უკანონოების გამო წართმეული ჩვენი ბუნებრივი, — მამაკაცთა თანასწორი — უფლებანი. ხოლო ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა თანაბარნი გავხდეთ მამაკაცებისა საქმიანობით, გამბედავათ მსჯელობით და ერთმანეთს შორის სათნო კავშირით.

მამა-კაცებმა შექმნეს მრავალი რამ, რომელნიც მათ აკავშირებს საერთო მუშაობისათვის. დღეს ჩვენც გადავდგით პირველი ნაბიჯი ქალთა წრის შექმნით, რომელმაც უნდა დაამყაროს ჩვენ შორის შეკრებითი სამუდამო კავშირი ნაყოფიერი შრომისათვის.

ექვს ამ თვეს იყო სხდომა ამ დაწესებულების თავმჯდომარის და გამგეობის წევრთა ასარჩევათ და სირცხვილიც კი არის ამის თქმა. მხოლოდ შვიდი წევრი დაესწრო კრებას, მოგვეჭრა თავი!

შემოვკრბეთ მაინც ყველანი უკლისათ მომავალ სხდომაზე. ავირჩიოთ მცოდნე, გულით ლმობიერი, მამულიშვილობით თავდადებული, დანარჩენ წევრთა შემთვისებელი და მომავლით იმედის მომცემი თავმჯდომარე. მას გვერდით ამოვუყენოთ ამავე თვისებებით აღჭურვილნი და საქმიანობით ცნობილნი წევრნი გამგეობისა.

გახსოვდეთ, რომ მომავალ არჩევნებზე რამდენი წევრიც უნდა დაესწროს კანონის ძალით სულ ერთია: გამგეობა და თავმჯდომარე მაინც არჩეულ იქნება და მათი გამოცვლა შეუძლებელია მომავალ ვადამდე. ნუ შეუწყობთ ხელს უმცირესობას ჩვენის მოუსვლელობით, ნუ ავარჩევინებთ არა სასურველ და უმოქმედო პირებს. ნუ გავუთხრით საფლავს დაბადებისთანავე საიმედო დაწესებულებას! ხოლო დღევანდელი გამგეობა წრისა ვალდებულია ახლავ შეჰკრიბოს ცნობები და უკეთუ წრის წევრთა უმეტესობა ქუთაისიდან გასულია, მაშინ სხდომა შესაფერ დროისთვის გადასდვას, ანუ სხდომის შესახებ ცალკე წერილებით აცნობოს წრის წევრებს.

ლიუბა თვალჭრელიძისა.

ქართული გალობა და მისი ბედი.

გაგძელება, იხ. გაზ. სამშობლო № 47.

(წერილი მეორე).

ზოგი შიშობს, რომ ჩვენი გალობა ოთხ ხმაზე გადავიდეს, ვაი თუ ძველი გალობა დაიკარგოსო, მაგრამ ეს შიში უსაფუძვლოა. ვისაც სლავიანური გალობის ისტორია ოდნავ მაინც გადაუთვალიერებია, დამეთანხმება, რომ ეს გალობა წარსული საუკუნის პირველ ნახევარში იმავე მდგომარეობაში იმყოფებოდა, როგორშიაც დღეს ჩვენი გალობა არის. მხოლოდ შემდეგში იწყეს მისი ევროპიულათ გამშვენება იტალიანური გალობის გავლენით და დღეს მეოთხე კი არა მეხუთე და მეექვსე ხმების მიმატებაზე ფიქრობენ, მაგრამ ამით მათი ძველი გალობა არ მოსპობილა.

ჩვენშიაც ასე იქნება: სადაც მარტო მედავითნეა, იქ ის მარტო იგალობებს ერთ ხმაზე სადაც სამი მგალობელია, სამ ხმაზე; იგალობებენ და სადაც ოთხმაზე მგალობელთა გუნდის გაწყობა მოსახერხებელი იქნება, ოთხმაზე იგალობებენ. ასეა სხვაგან და ასევე იქნება ჩვენშიც, ამას რაღა მტკიცება უნდა! და ან რა ახსნა და განმარტება სჭირია?!

ზოგნიც ფიქრობენ, რომ ჯერ ძველი გალობა გადავიღოთ ნოტებზე და მერე გავათხმავოთო. მაგრამ ეს ხომ სამარგლი ყანა არ არის, რომ ჯერ ერთი სკრელი ავიტანოთ თავამდის და მერე მეორე; ცხოვრებამ ერთ ადგილზე გაჩერება და მოცდა არ იცის. ის შეუჩერებლათ წინ მიიწევს, თავის მოთხოვნილებას გვიყენებს და შენ თუ არ დააკმაყოფილებ, სხვა, — უცხო — დაიჭერს შენს ადგილს და რა კი ერთხელ უცხო ფეხს მოიდგამს ჩვენს ნიადაგზე, მერე მისი გაძევება ძნელი იქნება.

ეს რომ ასე არ მოხდეს, ჩვენ კვალ და კვალ უნდა ვსდიოთ ცხოვრების წინსვლას: თან ნოტებზე ვიღოთ ძველი გალობა და თან ვამშვენოთ, ვათხხმოვანოთ ის. თავის თავად ცხადია, რომ თუ ჯერ სამ ხმაზე არ იქნება მეოთხეს საიდან მოვუმატოთ?! თვით ეს გათხხმოვანება დააჩქარებს, მის ნოტებზე გადაღებას. მაშასადამე, ჯერ მიზანი და მერე მისი შესრულება. უმიზნოთ კი არა კეთდება რა ქვაყანაზე. მაშ, მიზნათ დავისახოთ ჩვენი გალობის გამშვენება, მეცნიერულათ დამუშავება, რასაც ასე ძალუმათ მოითხოვს ჩვენგან დღევანდელი ცხოვრება, თორემ წაუშლელ დაღს დაასვამს ისედაც შებღალულ ჩვენს ეროვნულ სახეს.

აგერ თითქმის ნახევარი საუკუნეა, რაც ჩვენ გალობას ასწავლიან ჩვენ სასულიერო სასწავლებელში და გალობის მცოდნეთა რიცხვი კი არ მატულობს, დღითიდღე კლებულობს.

თუ არა იმ მიზეზით, რომ დღეს ჩვენ არა გვაქვს ოთხ ხმაზე გალობა, მაშ რითი აიხსნება ის მდგომარეობა, რომ სადაც კი ჩვენს სასწავლებლებსა და ეკლესიებში ითქმის ოთხ ხმაზე გალობა, გამეფებულია უცხო გალობა.

ამნაირათ, ყველა მოწინავე ადგილები ჩვენში დღეს უცხო გალობამ დაიკავა და, თუ ჩვენი გალობა კიდევ ძველს მდგომარეობაში დარჩა, ხეირი არ დაგვეყრება.

მართალია, ზოგიერთებმა სცადეს ჩვენი გალობის ოთხ ხმაზე გადაღება — გამშვენება თანამედროვე მეცნიერების და გვარათ, მაგრამ ჩვენებურმა სლავიანოფილებისებურმა კიჟინმა: არიქა უშველეთ ჩვენი გალობა წარყვნეს, წაბილწეს, ხელი აღებინა მათ მუშაობაზე. ასე უკულმა დაატრიალეს და დღესაც უკულმა ატრიალებენ ჩვენი გალობის ბედის ჩარხს ისინი, ვინც მის ოთხ ხმაზე გადაღება — გამშვენებას ეწინააღმდეგებიან. ხოლო როგორ და რა გზით უნდა მოხდეს ეს გამშვენება ამაზე შემდეგში.

დე—ზი.

დაბა-სოფლები.

სოფ. ლოდთრა (ზემო იმერეთი). ამ სოფელში იციან დღეობათ „ვარდობა", რომელიც იდღესასწაულება პეტრე-პავლობის მარხვის პირველ დღეს. ამ სოფელში მოსახლეობენ 60 მეკომურამდის, რომელთაც ამ დღეს აუარებელი სტუმრები მოსდით, როგორც იმერეთის სოფლებიდან, ისე ქართლიდგანაც (ქართლის საზღვარზე მდებარეობს). წელს ამ დღეობაზე ერთი გულშემზარავი საქმე დატრიალდა გლეხის ალფეზ ტეფნაძის ოჯახში: ხსენებულ გლეხს ამ დღეს სადილათ მრავალი სტუმარი ჰყავდა მიწვეული. სადილის დროს, როცა სტუმრები ძალზედ შეზარხოშდნენ, დაუწყეს ერთმანეთს კინკლაობა — არა შენ ეს სადღეგრძელო არ დაგილევია, შენ ამდენი გაკლიაო და სხვა. ჩხუბი იმით გათავდა, რომ სტუმარმა სვიმონ გიორგისძე ლომიძემ კინწისკვრით კარში გააგდო, მასპინძლის ცოლისძმის შვილი გლეხი გ. გელაშვილი. და თითონ კი არხეინათ განაგრძობდა ბახუსის მირთმევას. საღამო ჟამზე გიორგი ლომიძე კარში გამოვიდა. გამოსვლით კი გამოვიდა, მაგრამ შინ ცოცხალი აღარ შებრუნებულა. თურმე გლეხი ლომიძეს კეტით ხელში მოუთმენლათ ელოდა მის გამოსვლას და, გამოვიდა თუ არა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, დაუშვა კეტი თავში და იქვე სული გაანთხევია. ამის შემდეგ მოჰკურცხლა თავის სოფლისაკენ და დაბა სურამის ადმინისტრაციას თავისი ნებით გამოეცხადა. აი, ბატონებო, სამწუხარო ნაყოფი ჩვენებური „კაი დღეობისა და ჩვენი ავლა — დიდების ფუქსავატათ ფლანგვისა.

მღვდ. ვლად. მაჭარაშვილი.

ღია ბარათი

პასუხად ბ-ნ პ მიქელაძეს.

ბ. პ. მიქელაძის ღია წერილი დაიბეჭდა „სამშობლოს" 84 ნომერში მას შემდეგ კარგმა ხანმა განვლო, მაგრამ პასუხი არ გავეცი. არ გავეცი პასუხი იმ მოსაზრებით, რომ ის წერილი თავიდან ბოლომდის არ შეესაბამება სიმართლეს, აგებულია სხვის ნაამბობზე, რასაც ხაზგასმით თვით ბ. პ. მიქელაძე ამოწმებს თავისი წერილის პირველ სტრიქონებში, მაშასადამე, როგორც ასეთი, თვით ავტორის თვალშიაც უნდა იყოს მოკლებული საფუძვლიანობას, ვინაიდან მას არ შეუძლია მტკიცება „გადმონაცემის" სინამდვილისა.

მე დარწმუნებული ვიყავ, რომ ბ. პ. მიქელაძე ამ ხნის განმავლობაში უფრო სარწმუნო წყაროებიდან გაიგებდა ნამდვილ შინაარს ჩემ მიერ წარმოთქმულ სიტყვისას და, როცა დარწმუნდებოდა „გადმონაცემის" უსაფუძვლობაში, თვითონ დასტამბავდა მეორე წერილს და აღიარებდა, რომ ის შეცდომაში შეიყვანეს. ლოდინმა ამაოდ ჩაიარა. როგორც ეტყობა ბ. პ. მიქელაძე დარწმუნებულია „გადმონაცემის" სინამდვილეში, ან მერე აღარ ცდილობდა გამოერკვია სიმართლე, ამიტომ იძულებული ვარ გაზეთის ფურცლებზე გამოვსთქვა ის, რაც არა ერთხელ ვსთქვი რწმუნებულთა კრებაზე: ჩემ სიტყვაში, რომელიც წარმოვსთქვი რწმუნებულთა კრებაზე ბანკზე დარჩენილ სოფლის მამულების შესახებ, არავის პირადობას არ შევხებივარ, არავისი სახელი და გვარი არ მიხსენებია, არც ერთხელ პირიდან არ წამომცდენია სიტყვა „მოურავი", ან „მოურავთ მოურავი". ბრალი არავისთვის დამიდვია. მე მხოლოდ ავალაპარაკე დაბეჭდილ ანგარიშის ცნობები, აუდგი ენა იმ ციფრებს, რომლებიც შავი საღებავით ნათლად აღბეჭდილია თეთრ ქაღალდზე. იმ ციფრების მოწოდებაში მე ბრალი არ მიდევს, თუგინდ მათში ვისმესათვის საწყენიც იყოს რამე, ეს ჩემი ბრალი არ არის. მე რომ სინამდვილით, მხოლოდ გასაგებ ენით კი, გადავეცი საზოგადოებას ის, რაც ანგარიშში იყო მოყვანილი, ამას ყველა დაამოწმებს. ის დასკვნა, რომელიც მე გამოვიყვანე, აგებულია ანგარიშის მასალაზე, ჩემი არაფერია მომატებული; ის ცნობა, რომ ქუთაისის მაზრაში დესეტინაზე იხარჯება 5 მან 75 კ. და შემოდის 1 მან. 38 კ. და შორაპნის მაზრაში იმავე დესეტინაზე იხარჯება 5 მ. 54 კ. და შემოდის 47 კ., ამოკრეფილია იმავ დაბეჭდილ ანგარიშიდან. რაოდენობა შემოსავლისა, ხარჯის კვალობაზე, რომ ნამეტანი მცირეა, ამას ვერც თქვენ ჰყოფთ უარს, ბ. პიმენ!

რაც შეეხება ჩემ მიერ მოყვანილ მაგალითს ეკონომის შესახებ, აქ კი პირდაპირ გაუგებრობა უნდა იყოს. აქაც ბრალი გადამცემისაა. უნდოდა მაინცა და მაინც ავკაცად გამომეყვანე და ამიტომ გადაამახინჯა ჩემი სიტყვები. ბ. პ. მიქელაძე აჩქარდა და სიჩქარემ კი შეცდომამდი მიიყვანა. ტყუილად შეუდარებია თავისი მოქმედება, როგორც მოურავის, ეკონომის მოქმედებისთვის, ტყუილათ მაწერს მე იმ აზრს, ვითომ „ბ. მოურავების საქმის ერთგულება ისეთივე ხასიათისაა, როგორიც მაგალითში მოყვანილი ეკონომისა, რომ ბ მოურავებს ბანკის ანგარიში სადღაც გაპარვიათ და სხვა. მე ამის მსგავსს ვერას ვიტყოდი, ვინაიდან ანგარიში, რომლის შესახებაც მე ვლაპარაკობდი, ამის დასამტკიცებელ მასალას არ იძლეოდა. ეკონომის მაგალითი მოვიყვანე იმ უცნაურობის დასახასიათებლათ, რომელიც აღნიშნულია იმავე ანგარიშის ოცდა მეშვიდე ფურცელზე, შორაპნის მაზრაში ბანკზე დარჩენილ მამულების შესახებ.

თუ ბ. პ. მიქელაძე არ დაიზარებს, მისცემს თავს შრომას და გადაათვალიერებს ანგარიშის 27 გვერდზე მეორე ნუმერ ქვეშ ნაჩვენებ მამულის ვითარებას, დარწმუნებული ვარ, ისიც ჩემსავით გაოცდება, იმასაც გააკვირებს იმ მამულის ბედი მოდი და ნუ გაიკვირებ, ნუ გაიხსენებ ეკონომს!? 51 დ. 719 კვ. საჟ. მიწიდან, რომელიც დარჩენია ბანკს, გაყიდულა 25 დ 440 კვ. საჟ. დანარჩენი 26 დეს. 279 კვ საჟ. გამქრალა!! ეს ამბავი ჩემი მოგონილი არ არის, ამოღებულია ანგარიშის 27 გვერდიდან. აი, ამ უცნაურობამ გამახსენა ეკონომი და მისი სიტყვები. ამ უცნაურობის გამო იყო გამოთქმული ჩემი გაკვირვება: ის კი გამიგონია, რომ ხახვს და ერბოს ემართება „უსუშკა" და „უტეჩკა", მაგრამ თუ მიწასაც ეს ემართებოდა, არ მეგონა, ალბათ ზენა ქარი ხშირათ რომ ქრის, ის თუ ახმობს მიწას". აქ, ვგონებ, ცხადზე უცხადესია, რისთვის მოვიყვანე ეკონომის მაგალითი. რატომ ინებეთ და ჩემდა უნებურათ მიეცით სულ სხვა ხასიათი. „სადამ სადაო, წმინდაო საბაო". საბედნიეროთ, ზემოთ მოყვანილი მაგალითი მამულის შესახებ შორაპნის მაზრაში ეფუძება, ასე რომ, ბ. პ. მიქელაძეს ყოველ შემთხვევაში არაფერი ეხება.

წერილის ბოლოში ბ. პ. მიქელაძე წინადადებას იძლევა — მისი ხარჯით წავიდე, დავიარო ხონის ხსენებული ადგილები (მიკვირს რატომ ხონის მამულები მარტო, როდესაც ჩემი ანგარიში შეეხებოდა მთელ ქუთაისის მაზრაში დარჩენილ მამულებს, რიცხვით 32, რადგან 13 მამული როგორც სადაო, ანგარიშიდან გამოვრიცხე, სულ ითვლება 45 მამული, ზომით 1034 დესეტინა და თუ ქცევას (აქაც შეცდომაა, უნდა იყოს დესეტინა, მე ქცევა არ მიხსენებია, ანგარიში მაგ საზომავს არ გულისხმობს) 15 მან. გავყიდი, დანარჩენ ზარალს, რაც ბანკს მოუვა, საკუთარ საშუალებიდან აღუდგენს

მე ეს პირობა ზედმეტად მიმაჩნია, უბრალო სიტყვის მასალად, იმ უბრალო მოსაზრებით, რომ ამას, ამ სახით, არავითარი იურიდიული ძალა არ აქვს; მეც, ძალიანაც რომ მოვინდომო, არც დრო და არც ჯანი ნებას არ მომცემს დავიარო ზემოხსენებული 32 მამული და გავსჩადო ვაჭრობა, და უმთავრესად კი მიტომ, რომ ბ. პ. მიქელაძეს დაახლოებითაც არ უვარაუდებია, რა ზარალი დაატყდებოდა ბანკს თავზე დესეტინა რო 15 მ. გაგვეყიდა, თორემ მის გადახდას არ იკისრებდა. 32 მამულზე ითვლება თავნი ვალი 4140 მ 52 კ. გადაუხდელი სარგებელი (ნედოიმკა) 22804 მ. 90 კ. სულ 64213 მ. 42 კ. 15 მანეთად რო დესეტინა გაგვეყიდოთ, 1034 დესეტინაში ავიღებთ 15510 მან., დარჩება ზარალი 48703 მან. 42 კ. ძალიან ვეჭვობ, რომ ეს ამოდენა ფული ვინმემ გადიხადოს მარტო გაზეთის ფურცლებზე გამოთქმულ პირობის ძალით.

წერილის ბოლოში ერთხელ კიდევ გავიმეორებ: მე ბ პ. მიქელაძისთვის და არც არავისათვის პირადათ არავითარი შეურაცხყოფა არ მინდოდა მიმეყენებია და არც მიმიყენებია ჩემ მიერ წარმოთქმულ სიტყვაში, ვინაიდან მე პიროვნებას **არ შევხებივარ**. პირადათ ბ. პ. მიქელაძეს, როგორც კარგ ნაცნობს, დიდ პატივსა ვცემ და არავითარი ეჭვი მის კეთილსინიდისიანობაში არ მეპარება.

პატივისცემით ლ. ხმალაძე.

სია.

ქართველთა შორის წერა-კითხვის საზოგადოების ქუთ. განყ. სასარგებლოთ [illegible] გამართულ სეირნობა-ალეგრისათვის შემოსწირეს:

ალექსანდრა ბოლქვაძისამ — მოქარგული ბალიშის საპირე, მანვე მოაგროვა: ბ-ნ მამაჯანოვისაგან ჩარჩოიანი სურათი, ლეონტი გრიგოლაშვილისაგან 1 მან. №№ — 1 მან. ნესტორ დავითაიასაგან — 1 მან., ელენე ვლ. ასულის ალშიბაიასაგან — 1 ტილოს მოქარგული პირსახოცი, ბ-ნ სტეფანე ფეიქაროვის მაღაზიამ — წერილების ყუთი, ერთი ზარი. სასაპნე, სასპირტე პატარა იარაღები, მიწის სამუშაო ჩაის საწური, ტაფა, ქაფის მოსახდელი, კოვზი და წვენის საწური, ხორცის საბეგვი, კვერცხის სადღვები, ყველის საფხეკი; 1 დიდი ვედრა და პიმპილის სანაყი, ლიუბა ნიკოლოზის ასულმა უზნაძისამ — 2 ტილოს სალფეთქი, მანვე შეაგროვა: ნიკოლოზ რაჟ. ძის ალავიძისაგან ერთი ფრაჟეს საპიქე, პელაგია ვას. ასულის ჩინჩალაძის მეუღლისაგან 2 ყვავილის და 1 მურაბის ვაზა. ქეიპია დადიანის ქალმა — საშაქრე, პაშა გრიგოლის ასულმა იოსელიანისამ — საფერფლე. უკანათლებულესს კნეინამ ქეთევან ბაგრატიონისამ — 3 მ-ნ., ეკატერინე ივანეს ასულმა ელიავასამ — 2 მან.

გრიშა ნიჟარაძემ — 1 მან. ვერა კორძაიამ — 1 მან. ეს უკანასკნელი შეწირულება 6 პირისაგან მოაგროვა ქ-ნ ნინა კორძაიას ასულმა ვარლამ კორძაიძისაგან — 10 სხვა და სხვა წიგნი. ფაცია ბუაძისამ — 6 ხილის სალფეთქი. მინადორა ფუტურიძის ასულმა 1 ფინჯანი ლამბაქით. ელისაბედ ბაკურაძის მეუღლისაგან 2 ყვავილის ვაზა. ქ-ნ ოლღა ხუნდაძის მეუღლისაგან 1 საფერფლე და 4 სამდოგვე; ელისაბედ მეძმარიაშვილის ასულმა 1 სალფეთქის საშე და მეორე ცხვირსახოცების საშე და 1 მან. კნ. ნუცა აბაშიძის ქალმა, — 1 მან. სოფიო ნიკოლაევის ქალმა — 1 მან. ანნა პეტრიაშვილისამ — 1 მოქარგული კამოდის გადასაფარებელი; ელიკო პეტრიაშვილის ქალმა — ორი ვაზა. ქ-ნ. ლიუბა თვალჭრელიძისამ — 1 პირსახოცი მოქარგული, 2 სალფეტკი და 1 მოქარგული ზოლი, ირინე არჯევანიძისამ — ფინჯანი ლამბაქით. ალექსანდრა გუგუშვილისამ — ფინჯანი ლამბაქით. ანნა კიკნაძისამ — ყვავილის ვაზა, მარიამ მხეიძისამ — მოქარგული ზოლი გალსტუკი, პორტფელი, ნატალია ჭეიშვილისამ — ორი ვაზა, ყვავილისა და სანაცრე.

რედ.-გამომც. ი. თ. ცინცაძე.

დაიბეჭდა და იყიდება კ. ოცხელის წიგნის მაღაზიაში (ქუთაისში)

„НОВОЕ СЛОВО"

ახალი პირველდაწყებითი სახელმძღვანელო რუსული ენისა, მრავლად დასურათებული, ლექსიური განყოფილებით, რუსული ანბანით, კითხვისა და წერის სავარჯიშო მასალით, შედგენილი ს. ოცხელის მიერ.

ფასი ყდით 2 აბაზი.

თვ.

თ. მთავრიშვილის და ამხ.

წიგნისა და საკანცელარიო მაღაზიამ დაბეჭდა და გასაყიდათ გამოვიდა

„Цѣлебные минеральные источники въ Кутаисской губер." ц. 20 к. კ. მაჭავარიანისა.

იბეჭდება და მალე გამოვა ქართული ენის სახელმძღვანელო **„გაზმულ სიტყვიერებითი ქრისტომატია: ჩვენი ძველი მწერლობა და ხალხური პოეზია"**, შედგენილი ს. რ. გორგაძის მიერ. იქვე იყიდება ყოველნაირი ქართული და რუსული ენის სახელმძღვანელონი, საყმაწვილო წიგნები, ახალი რუსული და ქართული ლიტერატურული ნაწარმოები, გეოგრაფიული ატლასები, კარტები და ყოველნაირი საკანცელარიო ნივთები. თ. მ.

უდიდესი სპეციალური წიგნის მაღაზია

კ. ი. ოცხელის და ამხ. ქუთაისში

ალექსანდრეს ქუჩა, თფილ. კომერც. ბანკის ქვეშ.

კ. ი. ოცხელისა და ამხ. წიგნის მაღაზიაში მოიპოვება ყოველგვარი **სახელმძღვანელო** და საკითხავი წიგნი: ბელეტრისტული, პედაგოგიური, იურიდიული, საბავშო და მრავალი სხვა. აგრეთვე გვერდით გამართულია **ცნობილი საკანცელარიო მაღაზია დ. ი. ოცხელისა**, სადაც მოიპოვება ყველანაირი სამოსწავლო საკანცელარიო ნივთები.

— კატალოგები უფასოთ — თ.

ნუნისის სამკურნალო ბუნებით თბილი

აბანო.

აბანო ნუნისი, ანუ მუნისი, რომელიც შეუმჩნევია ხალხს, უხსოვარი დროიდან, როგორც მუნისაგან განმკურნავი უებრაი საშუალება, ჰკურნავს გასაკვირვლად ყოველნაირ კანის ავადმყოფობას და მასთან დიდ საშუალებას აძლევს ავადმყოფს სხვადასხვა სენის წინააღმდეგ. მდებარეობს შორაპნის მაზრაში, მოლითის სადგურიდან 6 ვერსის მანძილზე, მაღლობზე ნაძვნარში. სეზონი იწყება 15 მაისიდან და გრძელდება 1-ს ოქტომბრამდი.

თ. 215